საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ

2021 წელი

26.08.2022
www.geostat.ge

26.08.2022

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ 2021 წელი

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2021 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 1 726 ეკონომიკური სუბიექტი[1], რომლებიც ფლობდნენ 1 776 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებას (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით). აღნიშნული მაჩვენებელი 68.5 პროცენტით გაიზარდა 2020 წელთან შედარებით.

სასტუმროს მომსახურებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა „ინდივიდულური მეწარმე“, რომელიც შეადგენდა 2021 წელს მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო რაოდენობის 53.3 პროცენტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

დიაგრამა №1

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2021 წელს



[1]საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები.

სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების 99.3 პროცენტი კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო 0.7 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში.

2021 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 2 725.5 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა, რაც 49.2 პროცენტით მეტია 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. აქედან იჯარით გაცემული იყო 65.4 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო ყველა ნომრის საცხოვრებელი ფართობი 1 328.0 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა, რაც 59.3 პროცენტით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

2021 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 87.8 ათასი შეადგინა, რაც 51.7 პროცენტით მეტია 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ნომრების საერთო რაოდენობა გაიზარდა 60.2 პროცენტით და 43.1 ათასი შეადგინა.

ცხრილი №1

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში არსებული ნომრების რაოდენობის განაწილება კატეგორიების მიხედვით 2020-2021 წლებში

	2020 წელი	2021 წელი
ლუქსი	2 407	3 620
ერთადგილიანი	3 530	7 532
ორადგილიანი	16 066	23 782
სამ და მეტ ადგილიანი	4 894	8 153
სულ	**26 897**	**43 087**

2021 წელს საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 3 053.0 ათას სტუმარს მოემსახურა, რაც 127.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სტუმართა 43.5 პროცენტს უცხოელები წარმოადგენდნენ. მათგან 10.4 პროცენტი რუსეთის ფედერაციაზე მოდის, 9.5 პროცენტი - უკრაინაზე, ხოლო 9.5 პროცენტი - არაბთა გაერთიანებულ ემირატებზე. ევროკავშირის ქვეყნების წილი უცხოელი სტუმრების 10.1 პროცენტს შეადგენს, რომელთა შორის 34.6 პროცენტს გერმანიის, ხოლო 33.0 პროცენტს პოლონეთის მოქალაქეები წარმოადგენენ.

26.08.2022

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2020-2021 წლებში სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილებას ქვეყნების მიხედვით.

დიაგრამა №2

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით 2020-2021 წლებში



2021 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებს უმეტესად სტუმრობდნენ რეკრეაციისა და დასვენების მიზნით (71.6 პროცენტი).

ცხრილი №2

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება სტუმრობის მიზნის მიხედვით 2021 წელს, ათასი

	რაოდენობა	%
რეკრეაცია და დასვენება	950.3	71.6
საქმიანი და პროფესიული	240.9	18.1
მკურნალობა	8.5	0.6
სხვა მიზანი	127.5	9.6
სულ	**1 327.2**	**100.0**

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში რეკრეაციისა და დასვენების მიზნით განთავსებული უცხოელი სტუმრების უმეტესობა რუსეთის ფედერაციისა და არაბთა გაერთიანებული ემირატების მოქალაქეს წარმოადგენდა (შესაბამისად, 10.5 და 9.8 პროცენტი). აღნიშნული მიზნით სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში განთავსებული უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილებას ქვეყნების მიხედვით ასახავს ქვემოთ მოცემული დიაგრამა.

დიაგრამა №3

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში რეკრეაციისა და დასვენების მიზნით განთავსებული უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით 2021 წელს



2021 წელს საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებული იყო 18 283 ადამიანი, რომელთა უმეტესობას (56.6 პროცენტი) ქალები წარმოადგენდნენ.

26.08.2022

დიაგრამა №4

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა 2020-2021 წლებში



შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge